სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

23529406054121

# საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N210290501**

რეგისტრაციის თარიღი

**30.03.2021 წ**

ნოტარიუსი: ქეთევან ოდილავაძე
მისამართი: თბილის ჟ. შარტავას ქ 14ა
ტელეფონი: 599514451

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდა ერთი წლის ოცდაათ მარტს, მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ.№14 ა-ში მომმართეს, მოქალაქე **დავით ბორჩხაძემ, თინათინ შენგელიამ, თამთა ჩხეიძემ** მათ განაცხადეს, რომ სურთ **მინდობილობის** შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთის საშუალებით და დავრწმუნდი რომ, მე ნამდვილად: **დავით ბორჩხაძემ (დაბ.23.07.1983წ. პ/ნ 01024036032), თინათინ შენგელიამ (17.10.1970 პასპორტი 17AB04464 პ/ნ 01008002413), თამთა ჩხეიძემ (დაბ.30.01.1983წ. პ/ნ 01017025181)** მომმართეს. შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია, შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები: საკუთრების მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მათ პირადად წაიკითხეს ეს მინდობილობა და განაცხადეს, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას. რის შემდეგაც მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

ჩვენ, დავით ბორჩხაძემ (დაბ.23.07.1983წ. პ/ნ 01024036032), თინათინ შენგელიამ (17.10.1970 პასპორტი 17AB04464 პ/ნ 01008002413), თამთა ჩხეიძემ (დაბ.30.01.1983წ. პ/ნ 01017025181) „შემდგომში-მარწმუნებელები“ ოთარ ხოფერიას (დაბ.19.09.1983წ. პ/ნ 01031004436) „შემდგომში-რწმუნებული“ მივანიჭეთ შემდეგი უფლებამოსილება:

„რწმუნებული“ უფლებამოსილია, იყოს ჩვენი წარმომადგენელი **ქალაქი თბილისი, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 14/047 (ს/კ 01.14.16.014.071)** მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო, საზოგადოებრივ, კომერციულ, ადმინისტრაციულ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მესამე პირებთან (ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან) ურთიერთობაში, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, მათ შორის ქ.თბილისის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, იუსტიციის სახლში და მის სივრცეში განთავსებულ სამსახურებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, (მათ შორის მოახდინოს შესწორების, ცვლილების რეგისტრაცია, ცვლილების რეგისტრაცია კოორდინატთა სისტემაში, განსაზღვროს უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი) კონფიგურაცია, გამიჯვნა/გაყოფა/გაერთიანება) ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება, შეთანხმება, წარმოადგინოს ან/და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, დუბლიკატი, ცნობა, მოწმობა, ნებართვა, აზომვითი ნახაზი, პროექტი, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება წინამდებარე დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია **განუსაზღვრელი** ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.

წინამდებარე მინდობილობა მარწმუნებლებს წაუკითხა ნოტარიუსმა ქეთევან ოდილავაძემ, მარწმუნებლებმა მოიწონეს მინდობილობა და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების **31-ე, მუხლისა**, აგრეთვე გადახდილია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი ---------- თინათინ შენგელია

მარწმუნებელი ---------- დავით ბორჩხაძე

მარწმუნებელი ---------- თამთა ჩხეიძე

ნოტარიუსი ----------

ქ. ოდილავაძე